ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ჯ-10/0123286389-17

"09" 11 2023 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №47-ში (საკ. კოდი: №01.13.03.010.100) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო პავილიონი, საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული შენობა და საწყობები - III კლასი) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ.

დამკვეთი – შპს ,,ბორჯღალი".
პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №6629444 23.08.2023წ.

მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1674.0
.განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1010.7
.საერთო ფართობი (კვ.მ).: 2494.3
.საოფისე ფართობი (კვ.მ).: 492.7
.კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1575.8
.საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 254.6
.კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 171.2
.სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 8500.0
.0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 8000.0
.0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 500.0

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 177-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №47-ში (საკ. კოდი: №01.13.03.010.100) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (სავაჭრო პავილიონი, საგამოფენო დარბაზები, ადმინისტრაციული შენობა და საწყობები - III კლასი).

2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/0123286389-17 13.10.2023წ. განცხადება.
№წ-10/0123286389-17 03.11.2023წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე ზაზა კვიციანი